

მერების შეთანხმება არის ევროკავშირის ფართომასშტაბიანი ინიციატივა, რომელიც აერთიანებს მწვანე ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ერთობლივი ნებაყოფლობითი პასუხისმგებლობის მქონე ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების ორგანოებს.

მერების შეთანხმების ხელმოწერნი ვალდებულებას იღებენ ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების საშუალებით 2020 წლისთვის 20%-ით მაინც შეამცირონ CO₂-ის ემისია.

2008 წელს წამოწყებული მერების შეთანხმება დღეისათვის წამყვან ინიციატივად არის ქცეული. მისი მიზანია ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ ადგილობრივი მმართველობებისა და თვითმმართველობების წახალისება და მხარდაჭერა მდგრადი ენერგეტიკული პოლიტიკის გატარებაში. ამით შეთანხმება ხელს უწყობს მწვანე ეკონომიკის განვითარებასა და ქალაქებში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. როგორ ახერხებს ამას? ენერჯის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებით, სამუშაო ადგილების შექმნით, სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლებითა და კლიმატურ ცვლილებასთან ბრძოლით. აღმოსავლეთთან პარტნიორობის ქვეყნების მერების შეთანხმების ოფისები რომელიც ქალაქ ლვოვსა (უკრაინა), თბილისში (საქართველო), ერევანში (სომხეთი) და ალმატაში (ყაზახეთი) მდებარეობენ, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ და საინფორმაციო დახმარებას უწევს თერთმეტი ქვეყნას: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორი, საქართველო, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდოვა, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა და უზბეკეთი.

ადგილობრივი მმართველობები - ძირითადი მონაწილეები

ადგილობრივი ადმინისტრაციები, მოქალაქეებისთვის ხელისუფლების უახლოეს რგოლს წარმოადგენენ და პასუხისმგებელნი არიან საზოგადოებრივი და კერძო ინტერესების ურთიერთშეთანხმებაზე. მათ გადაწყვეტილებებს უდიდესი დადებითი გავლენა შეიძლება ქონდეთ თანამოქალაქეთა ცხოვრების დონეზე (მაგ. ხელმისაწვდომი ენერგოსერვისები; ჰაერის ხარისხი და ა.შ.). დიდი და პატარა ქალაქები და სხვა ურბანული დასახლებები გადამწყვეტ როლს თამაშობენ კლიმატური ცვლილების შემცირებაში, რადგანაც დღეისათვის მსოფლიო CO₂-ის ემისიის 70% სწორედ მათზე მოდის.

ვალდებულება

მერების შეთანხმება უბრალოდ „მორიგი კამპანია“ კი არა, არამედ ადგილობრივი მმართველობების მიერ ნაკისრი სერიოზული პასუხისმგებლობაა, რომელიც ენერგეტიკისა და კლიმატური ცვლილების შერბილების საიმედო და გაზომვადი მიზნების მიღწევას ემსახურება. ქალაქების მიერ ვალდებულებებისა და დასახული მიზნების შესრულებას მკაცრად აკონტროლებს ერთობლივი კვლევითი ცენტრი - ევროკომისიის სამეცნიერო სამსახური. ასე რომ მერების შეთანხმება უნიკალური ხასიათის ინიციატივაა, რომელიც ხელს უწყობს ეროვნული პრიორიტეტების შესაბამისი ადგილობრივი ქმედებების რეალიზებას



ნებაყოფლობითი ვალდებულებების ფარგლებში ქალაქები განავითარებენ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ შესაძლებლობებს, რომლებიც საჭიროა ადგილობრივი მდგრადი ენერგეტიკული პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად და მდგრადი ენერგეტიკულ სამოქმედო გეგმის (მესგ) წარსადგენადმერების შეთანხმების ბრიუსელის ოფისისთვის. ამ, დეტაკური ენერგეტიკული გეგმის მიმოხილვის წარდგენა შეთანხმების ხელმოწერიდან ერთი წლის განმავლობაში ხდება. მესგ-ი წარმოადგენს სახელმძღვანელოს ადგილობრივ დონეზე ენერგეტიკული და კლიმატის საკითხებთან დაკავშირებული მიზნების მისაღწევად. 2014 წლის თებერვლისთვის 3300-ზე მეტი მესგ-ი იქნა წარდგენილი და 1800-მეს მესგ-ი იქნა დამტკიცებული ერთობლივი კვლევითი ცენტრის მიერ.

ზრდა

ეს ინიციატივა აერთიანებს მოიცავს 50-მდე ქვეყნის 5400 ხელმომწერს, რომელთაგანაც 80-მდე ხელმომწერი არის აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენელი. გარდა ამისა, ადგილობრივი მმართველობების მეშვეობით მერების შეთანხმებაში აღმოსავლეთთან პარტნიორობისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების 10 მილიონზე მეტი მოქალაქეა ჩართული.

მხარდაჭერა

მერების შეთანხმება ადგილობრივი და რეგიონული მმართველობების მზარდი საერთაშორისო საზოგადოებაა, რომელიც პოლიტიკური (ევროკომისია, ქვეყნების ხელისუფლებები, ეროვნული ინსტიტუციები და სხვ.) და საფინანსო ინსტიტუტების (ევროპის საინვესტიციო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, კერძო ბანკები და ა.შ.) ძლიერი მხარდაჭერით სარგებლობს.

შეთანხმების მხარეებს სარგებლობენ მერების შეთანხმების ნაციონალური და ტერიტორიული კოორდინატორების, მხარდაჭერების და სხვა მონაწილე სუბიექტების დახმარებითა და კავშირებით. ამასთანავე, სხვა ქვეყნების კარგი გამოცდილება შეიძლება დაეხმაროს ადგილობრივ მმართველობებს, დაარწმუნონ მათი მთავრობები და პარტნიორები, რომ მერების შეთანხმებას შეუერთდნენ.

სამოქმედო გეგმების განხორციელებაში აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის შეთანხმების მხარეების დასახმარებლად მთელი რიგი მეთოდოლოგიებია და ინსტრუმენტები შემუშავდა. ამასთანავე, მერების შეთანხმების ოფისებიდან გაწეულ დახმარებასთან ერთად ევროკომისიის ერთობლივი კვლევითი ცენტრი ინგლისურ და რუსულ ენებზე უწევს კონსულტაციებს და შეთანხმების ხელმომწერებს ტექნიკური ხასიათის შეკითხვებზე პასუხობს.

გავლენა

შეთანხმების წარმატება მდგომარეობს მისი მონაწილეების კონკრეტულ ნაბიჯებსა და ღონისძიებების განხორციელებაში. მესგ ღონისძიებების განხორციელება სასიკეთო იქნება ადგილობრივი საზოგადოებისათვის და გამოიწვევს: ენერგოსერვისებზე ხელმისაწვდომობას, ენერგოგადასახადების შემცირებას, ინვესტიციების ენერგოეფექტურობაში, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას და მუნიციპალური ენერგეტიკული ბიუჯეტის საგრძნობ დანახოვს.

შეთანხმების მონაწილეებს საერთო მიზანი აქვთ: სტაბილური ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური გარემოს შექმნა თავიანთი მოქალაქეებისთვის და რესურსების ამოწურვისა და კლიმატური ცვლილების გლობალური პრობლემების გადაჭრაში

წინამდებარე გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელი აღმოსავლეთთან პარტნიორობის ქვეყნების მერების შეთანხმების ოფისია. იგი არ ასახავს ევროგაერთიანების მოსაზრებას. ევროკომისია პასუხისმგებელი არაა აქ წარმოდგენილი ინფორმაციის რაიმე სახით გამოყენებაზე.



წვლილის შეტანა.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ

ვებგვერდი

www.merebisshetankhmeba.eu/index_ka.html

www.covenantofmayors.eu

http://en.wikipedia.org/wiki/Covenant_of_Mayors

ყველა გამოქვეყნებული მასალა ხელმისაწვდომი იქნება რუსულ და ნაწილობრივ ქართულ ენაზეც

www.merebisshetankhmeba.eu/support/library_ka.html

Publications > www.soglasheniemerov.eu/media/communication-materials_ru.html

Pictures > www.soglasheniemerov.eu/media/videos_ru.html

საკონტაქტო მისამართი

info-east@eumayors.eu



The Covenant of Mayors East project is funded by the EU.

[მერების შეთანხმების](#) აღმოსავლეთით ოფისს ანხორციელებს კონსორციუმი, რომელსაც ხელმძღვანელობს [„ენერჯეტიკული ქალაქები“](#) და შესდგება [„კლიმატ ალიანსის“](#), [„უკრაინის ენერჯეფექტური ქალაქებისა“](#) და [„ცენტრალური აზიის რეგიონალური ეკოლოგიური ცენტრის“](#) -საგან.

წინამდებარე გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელი აღმოსავლეთთან პარტნიორობის ქვეყნების მერების შეთანხმების ოფისია. იგი არ ასახავს ევროგაერთიანების მოსაზრებას. ევროკომისია პასუხისმგებელი არაა აქ წარმოდგენილი ინფორმაციის რაიმე სახით გამოყენებაზე.

